ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 290

14 ივნისი
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ. 204854595) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა „ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში არსებული 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ. 204854595) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 5 ივნისის №24.949.1080 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ. 204854595) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, პანდუსის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 592 (ორი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე